

სხუადასხუა ყოველდღიური ლოცვები

იესოს ლოცვა

უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.

ლოცვად იოანე ოქროპირისაჲ წმიდათა წერილთა
ხელად მიღებისათჳს

ოდეს გენებოს კითხვად ანუ სმენად, ევედრე ღმერთსა
ესრეთ მეტყუელმან:

უფალო იესო ქრისტე, განმიხუენ მე თუალნი გულისა ჩემისანი სმენად სიტყუათა შენთა და გულის-ვმის-ყოფად მისა და ყოფად ნებისა შენისა, რამეთუ მწირ ვარ მე ქუეყანასა ზედა. ნუ დაჰფარავ ჩემგან მცნებათა შენთა, არამედ განახუენ თუალნი ჩემნი, რადთა ვხედვდე საკურველებასა სულისა შენისასა. მაუწყე, მე, უფალო დაფარულნი საიდუმლოდსა სიბრძნისა შენისანი, რამეთუ შენდა მომართ არს სასოებაჲ ჩემი, ღმერთო ჩემო, რადთა განმინათლო გონებაჲ ჩემი და საცნობელნი წმიდისა მეცნიერებისა შენისანი, არა ოდენ აღმოკითხვად წერილისა, არამედ ყოფადცა მისა, რადთა არა დასასჯელად თავისა თჳსისა წმიდათა ცხოვრებასა და სიტყუათა აღმოვიკითხვდე, არამედ განახლებად და განსანათლებლად სიწმიდით და საცხოვრებლად სულისა და სამკვდრებლად საუკუნოდსა სუფევისა. რამეთუ შენ ხარ განმანათლებელი მდებარეთა ბნელსა შინა და შენ მიერ არს ყოველივე მოცემად კეთილი და ყოველი ნიჭი სრული, და

შენდა შეუენის დიდებამ თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

*წმიდა წერილის წაკითხვის შემდგომ
საკითხავი ლოცვა*

მ, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მუუფეო სახიერო და კაცთმოყუარეო, ნუ განმეშორები ჩუენგან, ნუცა დამიტყუებ და ნუცა დაგუგადებ ჩუენ, არამედ ჩუენთანა ჯერ იხინე მარადის ყოფად და შენ სუფევედ ჩუენ ზედა. ავოცენ კელით-წერილნი ცოდათა ჩუენთანი. გვკისენ მძლავრებისაგან ეშმაკისა, მყუენ ჩუენ მუშაა წმიდათა მცნებათა შენთა, წარმიძლე ქმნად ყოვლად წმიდისა ნებისა შენისა და ღირს-გვეყუენ ყოველნი მარჯუენით შენსა დგომად დღესა მას საშჯელისასა და ღრუბლითა აღტაცებად, რამთა მივემთხვენეთ კეთილთა მათ მოუგონებელთა და გამოუთქუმელთა ზეცისა სასუფეველისასა. რამეთუ შენ ხარ, რომელსა გნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრებად და მუცნიერებისა ჭეშმარიტებისასა მოსლვად და შენი არს სუფევა, ძალი და დიდებამ და შენდა შეუენის ყოველი პატივი, მადლობამ და თაყუანისცემამ თანა დაუსაბამოდ მამით შენით და ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველსყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ლოცვა ტაძარში შესვლისა

შევიდე სახლსა შენსა, თაყუანის-ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა შიშითა შენითა უფალო, მიძელე მე სიმართლითა შენითა, და მტერთა ჩემთათჳს წარმართე შენ წინაშე გზამ



ჩემი. შევიდე სახლსა შენსა მსხუერპლებითა სულისა ჩემისათა, და მიგცნე შენ ლოცვანი ჩემნი, რომელ აღსთქუეს ბაგეთა ჩემთა. და შევიდე მე წინაშე საკურთხეველსა ღმრთისასა, ღმრთისა მიმართ, რომელმან ახარა სიჭაბუკესა ჩემსა, გარე მოვადგე და შევსწირე კარავსა შინა მისსა მსხუერპლი ქებისად და ღაღადებისად, ვაქებდე და უგალობდე უფალსა.

ლოცვა ყოველი საქმის დაწყების წინ

მუუფეო ზეტათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალავსებ მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვდრე ჩუენ შორის, და წმიდა მყუენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

ან ლოცვა იესო:

უფალო იესო ქრისტე, დაუსაბამოსა მამისა მხოლოდშობილო ძეო, შენ ჰბრძანე წმიდითა შენითა ბაგითა: “ვითარმედ, თვნიერ ჩემსა არარამ ძალ-გოც ყოფად არცა ერთი”. უფალო და მუუფეო, რწმენით შევიწყარებ მცნებათა შენთა და მსასოებელი შენისა კაცთმოყუარებისად ვკმობ: შემეწიე საქმესა ამას შინა მე ცოდვილსა, რამთა ვჰყო იგი ნებისაებრ შენისა; სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ.

ლოცვა ყოველი საქმის დამთავრების შემდეგ

ალვსება ყოველთა კეთილთა შენ ხარ, ქრისტე, ღმერთო ჩემო, ალავსე სიხარულითა და მხიარულებითა გული ჩემი და მაცხოვნე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მრავალმოწყალე.

ლოცვა სწავლის დაწყების წინ

ყოვლადსახიერო უფალო, გარდამოგვეკლინენ ჩუენ მაღლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელი გულისკმისყოფისა და განმაძლიერებელი ძალთა სულთა ჩუენტასა, რამთა ჩუენ, ყურადმღებელნი გარდმოცემულის ჩუენდა სწავლისა, აღვიზარდნეთ შენ, შემოქმედისა ჩუენისა საღიღებლად, მშობლთა ჩუენტა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ.

ლოცვა შემდგომად სწავლისა

გმაღლობ შენ, შემოქმედო, რამეთუ ღირს მყავ ჩუენ მაღლსა შენსა ყურადღებისათჳს სწავლისა. აკურთხენ ჩუენნი მთავარნი, მშობელნი და მასწავლებელნი, მიმყვანელნი ჩუენნი ცნობად კეთილისა; და მოგუეც ჩუენ ძალი და სიმხნვ, რამთა ახლად შეუდგეთ სწავლასა ამას. ამინ.

ლოცვა საზრდელის მიღების წინ

მამო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისა მომეც ჩუენ ღღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენტა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიქსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

ან ლოცვა ესე:

თუალნი ყოველთანი შენდამი ესუენ, უფალო, და შენ მოსცი მათ საზრდელი ყოველსა ჟამსა, აღაღებ შენ ჳელსა და განაძღებ ყოველსა ცხოველსა ნებისაგერ შენისა. ამინ.

ლოცვა შემდგომად საზრდელის მიღებისა

გმაღლობ შენ, ქრისტე ღმერთო ჩუენო, რამეთუ განმაძღე ჩუენ ქუეყნიერთა კეთილთა შენთაგან; ნუ დამაკლებ ჩუენ ზეცისაცა შენსა სასუფეველსა, არამედ, ვითარცა შორის მოწყვეთა შენთა მიხუედ, მაცხოვარ, და მშულობად მიმაღლე მათ, ეგრეცა მოვედ ჩუენტანა და გვაცხოვენ ჩუენ. ამინ.

*ლოცვა ეგრემ ასურისა**

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწველიველობისასა, მთავრობის-მოყურაობისასა და ცუდად მეტყუელებისასა ნუ მიმცემ მე (მეტანია).

ხოლო სული სიწმიდისა, სიმაბლისა, მოთმინებისა და სიყურაულისა მომმაღლე მე, მონსა შენსა (მეტანია).

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდად თჳსთა ცოდეათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე (მეტანია).

ღმერთო, მილხინე მე ცოღვილსა ამას და შემიწყალე (12-ჯერ მცირე მეტანიებით).

*ეგრემ ასურის ლოცვა იკითხება დილისა და საღამოს ლოცვების შემდეგ. ამ ლოცვას კითხულობთ ყველიერის კვირის სამშაბათ საღამოს, ოთხშაბათ დილას, ხუთშაბათ საღამოს და პარასკევ დილას, შემდგომ კი - შენდობის კვირის საღამოდან მთელი დიდი მარხვის განმავლობაში, ვნების კვირის ოთხშაბათ დილის ჩათვლით; (დიდმარხვის განმავლობაში, ეს ლოცვა არ სრულდება პარასკევ საღამოს, შაბათს დილა-საღამოს და კვირა დილას, ხოლო კვირა საღამოდან კვლავ განვაზღვებთ).

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვლილველობისასა, მთავრობის-მოყუარეობისასა და ცუდადმეტყუელებისასა ნუ მიმცემ მე-ხოლო სული სიწმიდისაჲ, სიმდაბლისაჲ, მოთმინებისაჲ და სიყუარულისაჲ მომმადლე მე, მონასა შენსა.

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდამ თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ (მეტანია).

ოპტინელი ბერების ლოცვაჲ

უფალო, მომეც მე ძალაჲ, რამთა სიმშუდითა სულიერითა მივილო ყოველივე რასაცა მომიტანს დღჳ ესე. მომეც მე ძალაჲ, რამთა სრულიად მინდობილ ვექმნე წმიდასა ნებასა შენსა. ყოვლითურთ მიწინამძღურე და შემეწიე მე თითოეულსა ჟამსა დღისასა. რამცა რამ ჰამბავი მესმას დღესა ამას, მასწავე მიღებად მისსა სულითა სიმშუდისითა, რწმენითა მტკიცითა, რამეთუ ყოველივე ნებითა შენითა წმიდითა ქმნილ არს. შენ ექმენ მარადის წინამძღუარ აზრთა და გრძნობათა ჩემთა ჟამსა შრომისა და უბნობისა, ჟამსა ყოვლისა უცების საქმისა მოწვევისასა. ნუ მიმცემ მე დავიწყებად, რამეთუ ყოველივე შენ მიერ მოვლინებულ არს. მასწავენ მე კეთილგონიერებითა და წრფელად ცხოვრება ჩემდათანა ყოვლისა სახლობისამთა, არა წყენებად და არცა აღშფოთებად ვინმესა. უფალო, მომეც მე ძალაჲ, რამთა დავითმინო დაშრომად მღვდმარისა დღისაჲ და ყოვლისა შემთხუევისაჲ განმავლობასა შინა მისსა. ექმენ წინამძღუარ ნებასა ჩემსა და მასწავე მე ლოცვაჲ, სასოებაჲ, რწმენაჲ, სიყუარული, მოთმინებაჲ და მითევებაჲ. ამინ.

ლოცვაჲ მეზავრობის მნებებელთა

გზა და ჭეშმარიტება შენ ხარ ქრისტე, მოგზაური ანგელოსი აწ მოუვლინე მონასა შენსა (ანუ მკეველსა) (სახელი) მზარველად ვითარცა ოდესმე ტობიას და ყოვლისაგან ბოროტისა და ყოველსა კეთილ-მითუალულობასა შინა უვნებელად დაცული სადიდებელად შენდა, მეოხებითა ღმრთისმშობელისათა მხოლოო კაცთმოყუარე.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვითარცა ლუკას და კლეოპას ემამუს შინა მოგზაურობდი მაცხოვარ, თანა მავალ ექმენ აწ მონასაცა (ანუ მკეველსაცა) ამას შენსა (სახელი) მეზავრობისა მნებებელსა, და იქსენ იგი ყოვლისა ბოროტისა გარე მოდგომილებისაგან, რამეთუ ყოველივე ძალ-გიძს რაოდენიცა გენებოს ვითარცა კაცთ-მოყუარე ხარ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვაჲ ბოროტისაგან დასაქსნელი

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, გჳკსენ ჩუენ მოახლოებულისა ღმრთივეშერისხულისა და ბოროტისა ემმაკისა ანტიქრისტეს ხიბლისაგან და ყოველთა მისთა მაცდურებათაგან. დაიფარე ჩუენი სულიერი მამა, მოძღუარი (სახელი) და ჩუენ ყოველნი სულიერნი შვილნი მისნი და ყოველნი მახლობელნი ქრისტიანენი ყოვლისაგან ვერაგისა ანტიქრისტეს და ყოველთა მისთა საცთურთაგან და ნუ მოგუცემ ჩუენ, უფალო, რამთა გუემინოჯეს ემმაკისა ჩუენზედა მოწვეუნულისა ამაოფსა შიშისაგან უმეტეს შიშისა ღმრთისა,

რამათა არა განგიდგეთ შენ და წმიდასა შენსა მართლმადიდებელსა ეკლესიასა. მოგუეც ჩუენ, უფალო, ძალად წაძებად და სიკუდილად სახელისათუხ შენისა და წმიდისა შენისა მართლმადიდებელისა ეკლესიისათუხ და არა მივიღოთ ბეჭედი იგი ანტიქრისტიესი და არა თაყუანის-ვსცეთ მას. არამედ მოგუეც ჩუენ, უფალო დღე და ღამე ცრემლნი ცოდვათა ჩუენთათუხ და შგჳწყალენ ჩუენ დღესა მას საშინელისა სამსჯავრომსა შენისასა, ამინ.

ლოცვამ სნეულთათუხ

შენ მხოლო ხარ, ქრისტე, მსწრაფლ შემწე, მსწრაფლ გამოაჩინე ზეცით საფარველი შენი ჭირვეულსა მონასა შენსა (სახელი) ზედა და იკისენ სნეულებათაგან, ჭირთა და მწარეთა საღმობათაგან; და აღადგინენ მაქებულად შენდა და საღიდეებულად სამარადისოდ, მეოხებითა ღმრთისმშობელისადათა, მხოლოო კაცთმოყუარე.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა

საღმობისა სარეცელსა ზედა მდებარესა და სასიკუდიონოდა წყლულებითა მოწყლულსა, ვითარცა ოდესმე აღადგინე, მაცხოვარ, სიღვრი იგი პეტრესი და განრღვეული ცხედარსა ზედა ტურთული, ვერეთვე აწცა, მოწყალეო, ვნებულსა ამას მოჰხედენ და განჰკურნენ, რამეთუ შენ მხოლო ხარ უძლურებათა და საღმობათა, და სნეულებათა ნათესავისა ჩუენისათა აღმკებლი და ყოველივე ძალგიძს, ვითარცა მრავალმოწყალე ხარ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



მეუთუფო ყოვლისა მპყრობელო, მკურნალო სულსა და ჳორცთა ჩუენთაო, რომელი დაამდაბლებ და აღამაღლებ, რომელი ჰსწყლავ და კუალად განჰკურნავ; ძმასა ამას ჩუენსა სნეულსა ზედა მოჰხედე მოწყალებითა შენითა, მოჰყავ მარჯუენა შენი უხილავი, სავსე ღვინებითა და კურნებითა. განჰკურნე მონა ესე შენი (სახელი) და აღადგინე ესე ცხედრისაგან სნეულებისა მისისა, და შეჰრისხენ სულსა ამას უძლურებისასა, და განაშორე ამისგან ყოველივე წყლულებამ და ყოველივე საღმობამ, ყოველივე გუემამ და ყოველივე მკურვალეობამ, გინა ცხრო და რაოდენი რა არს ამის თანა ბრალი, გინა უშჯულოებამ მიუტვეე, უღხინე, შეუნდეე კაცთმოყუარებისა შენისათუხ. ჰე, უფალო, შეიწყალე დაბადებული ესე შენი ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა არს დიდებამ თანა ყოვლად წმიდით, სახიერთი და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

*ლოცვამ წმიდისა ბასილი დიდისა ძილსა შინა დაცემისა ერის-კაცისა**

მრავალმოწყალეო, ყოვლად-დიდებულო, უბიწო და შეუეგინებელო უფალო, მხოლოო უცოდველო, განმწმიდე მე

*როდესაც მორწმუნეს ძილსა შინა დაცემა შეემთხვევა, ასრულებს 50 სრულ მეტანიას ლოცვით „ღმერთო მიღხინე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე სახელისა შენისათუხ წმიდისა“. ხოლო შემდგომ წაიკითხავს წმ. ბასილი დიდის ლოცვას „ძილსა შინა დაცემისა“ (რადგანაც კვირა დღეს არ სრულდება მუხლდრეკა, იხ. I მსოფლიო კრების მე-20, VI მსოფლიო კრების 90-ე და წმ. პეტრე აღექსანდრიელის მე-15 კანონები, შესრულებდა 50 მცირე მეტანია). დაცემის დამის მომდევნო დღეს არ უნდა მივეჯაროთ წმ. ხატებს, სეფისკვერს, ნაკურთხ წყალს, თუ ეს ზიარების წინა ღამეს შეგვემთხვა, არ უნდა ვეზიაროთ, ძილში დაცემა აღსარებამი უნდა მოვიზნაოთ.

მონად შენი ყოვლისა შემწიკულებისაგან ჳორცთა და სულისა, და უბიწოდ გამოძახინე მადლითა ქრისტეს შენისადათა. და განმწმიდე მე დანერგვითა წმიდისა სულისა შენისადათა. რადთა განწმედილი საცთურისა ამისგან განთავისუფლებული ღირს-ვიქმნა ჟამსა კეთილსა, რჩეულთა შენთა თანა მისლვად და ზიარებად საშინელსა და შესაძრწუნებელსა საიდუმლოსა შენსა. რამეთუ შენ ხარ, რომელი აკურთხევ და განსწმედ ყოველთა, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღუავლებნთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვაჲ სიყუარულის განსავრცობად და შურისა და ყოველგვარი სიავის აღმოსაფხურელად

ტროპარი, ჳამა 4.

მოციქულთა შენთა სიყუარულის კავშირით შემაერთებულო ქრისტე, შეგვაერთენ ჩუენ, ერთგულნი მონანი შენნი, მით შენთან მჭიდროდ, რადთა აღვასრულებდეთ მცნებათა შენთა და სიყუარულითა წრფელითა ვიყუარებოდეთ ურთიერთას, ლოცვითა ღმრთისმშობელისათა მხოლოო კაცთმოყუარეო.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

კონდაკი, ჳამა 5.

სიყუარულის ცეცხლით გაათბე შენდამი გულნი ჩუენნი ქრისტე ღმერთო, რადთა მით აღნთებულნი, გულით, გონებითა და მთელი არსებით შეგიყუაროთ წრფელად, მცნებათა შენთა დამმარხველი გადიდებადეთ შენ, ყოველთა კეთილთა ჩუენდა მომცემელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

მისა,
კლი
ბედ
ასა
მარ
ნთა
მე
შენ და
ნნი
თა
შე
და

ლოცვაჲ მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩუენთათჳს

ტროპარი, ჳამა 4.

გამწირველთა შენთათჳს ილადადე კეთილსულოვნად უფალო, მონათა შენთა მტერთათჳს ლოცვაჲ უბოძე, მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩუენთა შეუნდევ, ყოველგვარ ბოროტებისა და მზაკუევარებისაგან მოაქციე ძმათმოყუარობისა და კეთილისყოფობისაკენ და მიეც მათ საცხოვნებელი თხოვაჲ მათი და ცხოვრებაჲ საუკუნომ, რადთა ერთობით გადიდებადეთ შენ, მხოლოო კურთხეულო.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

კონდაკი, ჳამა 5.

ვითარცა პირველმოწამე შენი უფალო, სტეფანსჳ, მკუელელთა თჳსთათჳს გვედრებოდა, ასევე ჩუენც შევრდომილნი გვედრებით, ყოველთა მაჭირვებელთა და მოძულეთა ჩუენთა შეუნდევ, და დაიწსენ წარწყმედისაგან ყოველნი, კურთხევითა შენითა, ღმერთო ყოვლადმოწყალო.

ლოცვაჲ ყოველი თხოვნის აღსრულების შემდეგომ

ტროპარი, ჳამა 4.

მმადლობელნი უღირსნი ესე მონანი შენნი, უფალო, დიდთა ქუელისმოქმეებათა შენთათჳს, რომელიცა ჳქმენ ჩუენ ზელა, დიდებით გაქებთ შენ, გაკურთხევით, გამდლობით, გიგალობით და ვადიდებთ შენსა კეთილმოწყალებასა, და მონებრ

დედუფალო, ყოველთაგან მტერთა ხილულთა და არახილულთა, ყოველთა ჟამთა და საქმეთა ექმენ შევილთა ჩემთა, დედაო, გადაულახავ კედლად და მტკიცე შემწვედ, ყოველადვე აწ და მარადის და უკუნიითი უკუნიხამდე. ამინ.

*ლოცვამ დღითი-დღე სათქუმელი
ყოველადწმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ,
უკუეთუ გსურის ხილუად მისი ჟამსა სულისა შენისა
განყოფისასა*

შეიწყნარე აწ დიდებულო, დედუფალო ჩემო სახიერო, გლახაკი ვედრებაჲ ჩემი, უღირისისა პირისაგან შენდა შეწირული, ვითარცა ყოვლისა მეცნიერმან და უფრომსლა ჩემისა უძღურებისამან. მე უკუე შენ მიერ ვიცან გზაჲ ჭეშმარიტებისაჲ, შენ მიერ აღმოვიწოდე ადგილთაგან სასიკუდინეთა, რომლისათეს საქმენი ჩემნი და მოძრაობანი ღამისანი და დღისანი, საქმითნი და სიტყუთნი, მეცნიერებით და უმეტრებითნი, შენ უწყი და მეცნიერ ხარ და შენ შუამდგომელად ქრისტეს მიმართ ჭეშმარიტისა ღმრთისა მომოეო, შენ შემოწყალე მე, შენ შემეწიე მე, შენ იყავ თანამოქმედ ჩემდა ყოველთა შინა საქმესა კეთილსა, ნებისაებრ მისა შენისა და ღმრთისა ჩემისა. შენ უწყი ზესთა სახიერო დედუფალო, რამეთუ სიჩრთვან ფრჩხილთა ჩემათ და დედობრივთა წიაღთათ შენდა შეგვეარდი და შენ შეგვევედრე, დაღაცათუ ბოროტად დაეიცევე თავი ჩემი, გარნა არა ვუწყი სხუა შესავედრებელი ანუ მწე, გინა კელის-ამაყრობელი და ღმრთისა მიმართ შუამდგომელი. გარნა შენ დედუფალო ჩემო, ყოველთავე საქმეთა ჩემთა შენ მიგითხრობ და შენ

ლოცვამ
ყოველადწმიდისა
ღმრთისმშობელისა
მიმართ,
უკუეთუ გსურის
ხილუად მისი
ჟამსა სულისა
შენისა
განყოფისასა

აქოცენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი. შენ უწყი, დედუფალო ჩემო ღმრთისმშობელო, რამეთუ მფრინველი ვარ უცხოჲ და არა მაქუს ადგილი, სადა თავი მივიდრიკო, გარნა შენდამი დღისა ქრისტეს ღმრთისა ჩემისა. შენ ხარ შემეწე ჩემი, დედუფალო, შენ ხარ მქსნელი ჩემი, შენ ხარ მფარველი ჩემი, შენ, ჩემი ღმრთისა მიმართ თავსმდელები. შენ მამად ჩემი, შენ ჩემი წინამძღუარი, შენ ჩემი მოგზაური, შენდამი დამიმს ყოველი სასობაჲ ჩემი. შენ იცი უღონობაჲ ჩემი, რამეთუ არავინ მაქუს გარნა შენ და შენგან შობილი ქრისტს. ამისთვის ნუ მომიძაგებ და ნუ განმაგდებ მე, სახიერო, ნუცა სძლევეს სიმრავლს ბოროტთაჲ ჩემთაჲ შენსა სახიერებასა, გაქუს უფსკრული მოწყალებისაჲ, ვითარცა ზესთა მოწყალისა ღმრთისა დედასა, მხოლოდ ინებე და მე ვცხოვნდე, ვერვინ წინააღვიდების შენ, რამეთუ დედა ხარ, რომელმან ყოველივემ შექმნა ღმრთისა ჩემისა იესოსი. ვიცი, რამეთუ მრავალ არიან ცოდვანი ჩემნი და არა ვარ ღირს აღხილვად და ხილვად სიმაღლესა ცისასა, სიმრავლისაგან ცოდვთა ჩემთასა, არამედ შენ თუ მოიხილავ ჩემ ზედა, არა ვინ არს დამაყენებელ. შემეწიე მე წმიდაო დედუფალო ჩემო, შემეწიე მე და ნუ შემერაცხები მთე ესე ცოდვად, დედუფალო ჩემო ღმრთისმშობელო, არამედ უფრომსლა მომეც მე სინანული, მომეც მე წყაროჲ ცრემლთაჲ, მომეც მე სულთქუმაჲ და შემუსრვაჲ გულისა, რამთა ვსტიროდე უბადრუკთა საქმეთა ჩემთა, რამეთუ მე ვარ დედუფალო ღმრთისმშობელო, უფსკრული ცოდვათა, მე ვარ, რომელმან ყოველთა ზესთა ბუნებათა ვიუშგულეოე წინაშე მისა შენისა და ღმრთისა. ვიცი, დედუფალო, რამეთუ უსიტყუელ ვარ და უღირს ყოვლისა

კაცთმოყუარებისა და ღირს ყოვლისა ტანჯვსა და არა
მაქუს სიტყუა სიტყვსა მიცემად, ამისთვისა მოწყალებისა
მიმართ ძისა და ღმრთისა შენისა მოვივლტი და სახიერისა
მუუფისა და შემოქმედისა ჩემისა, შენ მიძლოდე მე და მმართებდე
და განმსწავლე მე, ღმრთისმშობელო. უსასყიდლოდ ვეძიებ
შენგან მდიდართა წყალობათა, შემიწყალე მე, ვითარცა გნებაეს
და ვითარცა ბრძანებ, ნუ განმაგდებ პირისა შენისაგან და ნუ
განმაშორებ საფარველსა შენსა, ნუ უცხო მყოფ შენისა
მოწყალებისაგან, შემიწყალე მე უცხო, შემიწყალე მე მოსავი
შენი, შემიწყალე მე, რომელსა ყოველი სასოება ჩემი დამძის
შენდამი და მასწავე მე ძლიერება შენი, ღმრთისმშობელო.
და რამეთუ უკუეთუ მაცხოვნო ცოდვილი, დიდ არს წყალობად
შენი, დიდ მოწყალებად შენი, დიდ ძურუჭსენებლობად და
სულგრძელებად და რამეთუ უკუეთუ ღირსსა შეეწიო და
შეიწყალო, ესე არა არს საკურველ, არამედ უფროისდა მე
შემეწიე. არამედ მე შემიწყალე, მომეც კელი შეწევნისაჲ,
რომელი ქუემდებარე ვარ, მე უღებსა, მე დაჭსნილსა, მე
უმაღლოსა და უგულისკმოსა, ფიცხელსა და უნანელსა და
ყოვლითა ძვრითა საქმითა და სიტყუთა შეგინებულითა
აღსავსესა და წესითაცა უცხოთა ყოვლისა კეთილის-
მოქმედებისაგან.

ჰე, დედუფალო ჩემო ღმრთისმშობელო, მოწყალე იქმენ
ჩემ ზედა უღონოსა, უცხოთა და საწყალობელსა და ჰყავ ჩემ
ზედა მდიდრად წყალობად შენი, რათა ცხოვნებულმან ვაქო
შენგან შობილი ჭეშმარიტი ქრისტე ღმერთი ჩემი და გადიდო



შენ, ჩემი მაცხოვარი, ჩემი ნუგეშინისმცემელი, ჩემი ჳელის-
ამპყრობელი და ჩემი მცველი. შემეწიე მე, წმიდაო დედუფალო,
შემეწიე მე და ღირს-მყავ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა
ჩემისაჲთა, რათა ვჰყო ნებაჲ ძისა შენისა და ღმრთისა
ჩემისა და რათა ვმსახურო მას, ვითარცა ჳერ არს და
ესრეთ აღვესრულო, დედუფალო ჩემო ღმრთისმშობელო და
წმიდათა ანგელოსთა მიერ ძღობილ ვიქმნე მისისა მის წმიდისა
და ნათლით შემოსილისა საყოფელისა მიმართ, რამეთუ მისა
შუენის ყოველი დიდებად, პატრივი და თაყუანისცემად, საუკუნეთა
უკუნისამდე. ამინ.